ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

THE WORLD BANK
IBRD • IDA | WORLD BANK GROUP

CRRC-საქართველო
2022

მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების საჭიროებები საბუღალტრო სერვისებთან და ბიზნესკონსულტაციებთან წვდომის თვალსაზრისით საქართველოში

Commissioned by the World Bank under joint EU/WB Georgia Financial Inclusion and Accountability Project

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის და მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია CRRC საქართველო და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის და მსოფლიო ბანკის შეხედულებებს.

შინაარსი

რეზიუმე 4
შესავალი 7
მეთოდოლოგია 8
მიგნებები 10
საწარმოთა მახასიათებლები 10
საბუღალტრო/ აუდიტორული ფირმებისგან მიღებული მომსახურება და რჩევები და საბუღალტრო/ აუდიტორული სერვისების საჭიროება მომავალში: 14
პერსპექტივები საბუღალტრო ფირმებთან დაკავშირებით 18
დასკვნები 22
დანართი 1: სიხშირის ცხრილები 24

დიაგრამების ჩამონათვალი

დიაგრამა 1. მიუმართავს თუ არა საწარმოს საქართველოში ხელმისაწვდომი მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის რაიმე პროგრამისთვის? 10
დიაგრამა 2. მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა, რომელსაც მიმართა საწარმომ 11
დიაგრამა 3. მიზეზი, თუ რატომ არ მიგიმართავთ მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამისთვის? 12
დიაგრამა 4. პროფესიული ორგანიზაცია, რომლის წევრიცაა ბუღალტერი 13
დიაგრამა 5. იღებთ თუ არა ამჟამად მომსახურებას საბუღალტრო /აუდიტორული ფირმისგან? 14
დიაგრამა 6. როგორ გამონახა საწარმომ მომსახურე საბუღალტრო /აუდიტორული ფირმა? 15
დიაგრამა 7. როგორია საბუღალტრო/ აუდიტორული ფირმისგან მიღებული მომსახურება ? 15
დიაგრამა 8. საბუღალტრო/ აუდიტორული ფირმისგან მიღებული მომსახურება SARAS –ის კატეგორიების მიხედვით 16
დიაგრამა 9. ბიზნესი მომავალში აპირებს მიიღოს (დამატებითი) მომსახურება საბუღალტრო /აუდიტორული ფირმისგან: დიახ/არა? 16
დიაგრამა 10. ძირითადი მიზეზები, რის გამოც შეიძლება საჭირო გახდეს მომსახურება 17
დიაგრამა 11. სერვისები, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს მომავალში 17
დიაგრამა 12. სერვისები, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს მომავალში (SARAS –ის კატეგორიების მიხედვით) 18
დიაგრამა 13. შეაფასეთ საბუღალტრო/ აუდიტორული ფირმა შემდეგი კრიტერიუმებით... 19
დიაგრამა 14. ვეთანხმები /არ ვეთანხმები შემდეგ განცხადებებს საბუღალტრო /აუდიტორულ ფირმებთან დაკავშირებით 19
დიაგრამა 15. ბიზნესი ითანამშრომლებს ფირმასთან, რომელიც საქმიანობს 20

ხშირად გამოყენებული შემოკლებების ჩამონათვალი

CRRC – კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი
SARAS – ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური
SME – მცირე და საშუალო საწარმოები
MSME – მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები
GFPAA – საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია
GFAAFM – აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაცია
UK ACCA – გაერთიანებული სამეფოს სერთიფიცირებულ ნაფიც ბუღალტერთა ასოციაცია

რეზიუმე

საქართველოს მიკრო, მცირე და საშუალო სიდიდის საწარმოების (MSMEs) საჭიროებების ეს კვლევა საბუღალტრო სერვისებთან და ბიზნესკონსულტაციებთან წვდომის თვალსაზრისით მსოფლიო ბანკის დაკვეთით CRRC – საქართველოს მიერ განხორციელდა. კვლევის მიზანი იყო მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების მოსაზრებების გარკვევა საბუღალტრო სერვისების საჭიროებასთან დაკავშირებით. კვლევამ ასევე გაამახვილა ყურადღება იმაზე, თუ როგორ აღიქვამენ კომპანიები საბუღალტრო ფირმებისგან თავის საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებულ კონსულტაციებს (სამომავლო სერვისებსა და რჩევებზე ისევე როგორც ამ ფირმებთან მიმართებით მათ პერსპექტივებზე ფოკუსირებით). CRRC – საქართველომ გამოკითხვა ჩაატარა კომპიუტერული სატელეფონო ინტერვიუს (CATI) მეთოდის გამოყენებით. კვლევის შედეგები წარმომადგენლობითია მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (SARAS) სტანდარტების შესაბამისად.

კვლევის შედეგები მიუთითებს შემდეგს:

საწარმოების მახასიათებლები:

- საწარმოების უმრავლესობა საქართველოში 10 წელზე ნაკლები ხნის განმავლობაში ფუნქციონირებს (67%).
- საწარმოების უმეტესობა (59%) თბილისში ოპერირებს.
- სექტორები, რომლებშიც ეს საწარმოები ყველაზე ხშირად საქმიანობენ არის: ვაჭრობა (32%), მომსახურება (27%), წარმოება (10%), მშენებლობა (10%), ტრანსპორტი (4%) და ტურიზმი (2%).
- საქართველოში ხელმისაწვდომი მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამისთვის საწარმოთა მხოლოდ 8% -ს მიუმართავს. საშუალო ბიზნესის დაახლოებით მეხუთედმა (21%), მცირე ბიზნესის მხოლოდ 14%-მა და მიკრო ბიზნესის 7%-მა გამოხატა პროგრამაში მონაწილეობის სურვილი.
- ყველაზე პოპულარული პროგრამები იყო „აწარმოე საქართველოში" (აპლიკანტების 60%), რომელსაც მოსდევდა შეღავათიანი აგროკრედიტი (33%), GITA -ს ინოვაციის ხელშეწყობა (12%) და ბიზნესის საკონსულტაციო მომსახურების პროგრამა (EBRD) (9%).
- მთავარი დაბრკოლება რომელიც ხელს უშლის საწარმოებს მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამაში მონაწილეობის თვალსაზრისით არის ინტერესის არქონა შესაძლებლობის მიმართ (48%). მეხუთედზე მეტმა (23%) კი განაცხადა, რომ მისი საქმიანობა არ აკმაყოფილებდა პროგრამების კრიტერიუმებს.
- საწარმოების უმრავლესობას (87%) თავის კომპანიაში დასაქმებული ჰყავს ბუღალტერი.
- ამ ფირმების მეოთხედზე მეტმა (28%) არ იცის არის თუ არა მისი ბუღალტერი რომელიმე პროფესიული ორგანიზაციის (PAO) წევრი, ან უარს ამბობს აღნიშნულთან დაკავშირებულ კითხვაზე გასცეს პასუხი. ამ საწარმოების დაახლოებით ნახევარის (49%) ბუღალტრები არ არიან პროფესიული ორგანიზაციის (PAO) წევრები. საწარმოთა ბუღალტრებს შორის, რომლებიც პროფესიული ორგანიზაციის წევრები არიან, 19% არის საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის (GFPAA/ ბაფ), 2% საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა

ფედერაციის (GFAAFM), 2% სერთიფიცირებულ ნაფიც ბუღალტერთა ასოციაციის (UK ACCA), ხოლო მეხუთედი (20%) სხვა პროფესიული ორგანიზაციის წევრი.

- ფირმების ხელმძღვანელების უმრავლესობას (78%) სმენია ბაფ –ის, ნახევარზე მეტს (58%) საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის და თითქმის ნახევარს (44%) გაერთიანებული სამეფოს სერთიფიცირებულ ნაფიც ბუღალტერთა ასოციაციის შესახებ.

საბუღალტრო/ აუდიტორული ფირმებისგან მიღებული მომსახურება და რჩევები:

- საწარმოების მეხუთედი (21%) მომსახურებას იღებს საბუღალტრო ფირმისგან.
- საწარმოთა მესამედმა (27%) უარი თქვა სააღრიცხვო/ აუდიტორული მომსახურებისთვის გადახდილი თანხის შესახებ ინფორმაციის მოწოდებაზე. თითქმის მესამედი (32%) წელიწადში დაახლოებით 5,000 ლარს იხდის, დაახლოებით მეხუთედი (23%) 10,000 –დან 50,000 ლარამდე და მცირე ნაწილი (18%) 5,000 –დან 10,000 ლარამდე.
- საწარმოების უმეტესობამ (66%) თავისი საბუღალტრო/ აუდიტორული ფირმა სხვების რეკომენდაციით გამონახა.
- საწარმოებს ძირითადად ურთიერთობა აქვთ საბუღალტრო/ აუდიტორული ფირმების დირექტორებთან (41%), მენეჯერებთან (40%), პარტნიორებთან/ მფლობელებთან (32%) ან ბუღალტრებთან (13%) და/ ან აუდიტორებთან (6%)..
- საწარმოთა უმეტესობა საბუღალტრო (68%) და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის (63%) მომსახურებას იღებს. მესამედზე მეტი (35%) იღებს საგადასახადო მომსახურებას.
- საწარმოთა უმეტესობა, რომლებიც ამჟამად არ იღებენ ბუღალტრულ/ აუდიტორულ მომსახურებას, არ გეგმავენ მათ მიღებას მომავალში, მხოლოდ 10% გეგმავს აღნიშნულის განხორციელებას. ანალოგიურად, ასეთი სერვისების მიმღები ბიზნესების უმრავლესობა (58%) არ აპირებს რაიმე დამატებითი სერვისის მიღებას მომავალში. გარდა ამისა, მესამედზე მეტმა (38%) არ იცის, გაგრძელდება თუ არა მათი საქმიანი ურთიერთობა საბუღალტრო /აუდიტორულ ფირმასთან.
- სააღრიცხვო/ აუდიტორული ფირმის მომსახურების აუცილებლობის განმაპირობებელი ძირითადი მიზეზებია საგადასახადო ვალდებულებების შემცირება (59%), კანონებისა და რეგულაციების დაცვაში ხელშეწყობა (56%) და ბიზნესის წარმოების სრულყოფაში დახმარება (49%).
- ფირმების უმრავლესობას შეიძლება დასჭირდეს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი (73%), საბუღალტრო მომსახურება (70%), შიდა აუდიტი (68%) და საგადასახადო მომსახურება (63%). ყველაზე ნაკლებად გავრცელებულია სესხის განაცხადის მომზადების (28%) და სალიკვიდაციო და/ ან კორპორაციული რესტრუქტურიზაციის (18%) სერვისები.

საბუღალტრო/ აუდიტორული ფირმების პერსპექტივები:

- საწარმოთა უმრავლესობამ ბევრი მახასიათებელი მნიშვნელოვნად მიიჩნია საბუღალტრო/ აუდიტორული ფირმების შეფასებისას. .
- საწარმოების უმეტესობა თანხმდება, რომ საბუღალტრო /აუდიტორული ფირმა, რომელთანაც თანამშრომლობენ ან ითანამშრომლებენ, სრულად უნდა

აკმაყოფილებდეს მათ ბიზნესმოთხოვნებს (78%). ნახევარზე მეტი (52%) დათანხმდა, რომ საბუღალტრო /აუდიტორული ფირმა არის/იქნება პირველი სუბიექტი, რომელსაც მიმართავს ბიზნესთან დაკავშირებული რჩევისთვის.

- საწარმოთა უმრავლესობა იმუშავებს საბუღალტრო /აუდიტორულ ფირმებთან, რომლებიც საქართველოში საქმიანობენ. გარდა ამისა, უმეტესობა აცხადებს, რომ არ აქვს მნიშვნელობა სად ფუნქციონირებს საბუღალტრო /აუდიტორული ფირმა, თუ ის აკმაყოფილებს მათ საჭიროებებს.
- იმ საწარმოებს შორის, რომლებიც გეგმავენ სამომავლოდ საბუღალტრო/ აუდიტორულ ფირმასთან თანამშრომლობას, ნახევარზე მეტი (59%) ამჯობინებს თანამშრომლობას საერთაშორისო ქსელის წარმომადგენელ ფირმასთან, ან ფირმასთან, რომელიც სხვადასხვა რეგიონში (61%) საქმიანობს. შესაბამისი პროცენტული მაჩვენებლები ნაკლებია იმ საწარმოებისთვის, რომლებიც უკვე თანამშრომლობენ საბუღალტრო /აუდიტორულ ფირმებთან.

რეკომენდაციები:

- რამდენადაც საწარმოთა მხოლოდ 8% -მა გამოხატა საქართველოში ხელმისაწვდომ მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამაში მონაწილეობის სურვილი, უფრო აქტიური ხელშეწყობა და უკეთესი კომუნიკაცია მიკრო, მცირე და საშუალო ფირმებთან შეიძლება იყოს მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამების შესახებ ცნობიერების ამაღლების ეფექტური გზა.
- იმის გამო, რომ ბიზნესის მხოლოდ მეხუთედი იღებს საბუღალტრო /აუდიტორულ მომსახურებას, სექტორმა მკვეთრად უნდა გაზარდოს ჩართულობა მიკრო, მცირე და საშუალო ფირმებთან, თანამშრომლობის უპირატესობების შესახებ ინფორმირებულობის ასამაღლებლად.

შესავალი

მსოფლიო ბანკმა ეროვნული წარმომადგენლობითი სატელეფონო კვლევის ჩასატარებლად ხელშეკრულება CRRC -საქართველოსთან გააფორმა. კვლევა ყურადღებას ამახვილებს საქართველოს მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის საჭიროებებზე საბუღალტრო მომსახურების თვალსაზრისით, ისევე როგორც მათ პერსპექტივებზე.
კვლევა ფოკუსირებულია შემდეგ საკითხებზე:

- საქართველოს მიკრო, მცირე და საშუალო სიდიდის საწარმოების (MSMEs) მოსაზრებები მათი საჭიროებების შესახებ საბუღალტრო სერვისებთან დაკავშირებით და ბიზნესკონსულტაციები, რომლებსაც ისინი იღებენ ან აპირებენ მიიღონ საბუღალტრო /აუდიტორული ფირმებისგან მომავალში;
- საბუღალტრო/ აუდიტორული ფირმების პერსპექტივები საქართველოს მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებთან (MSMEs) დაკავშირებით.

ამ საკითხების შესწავლის მიზნით CRRC -საქართველომ გამოკითხა მიკრო, მცირე და საშუალო სიდიდის საწარმოების მფლობელები, დირექტორები და მენეჯერები. ანგარიშის შინაარსი შემდეგნაირია. დასაწყისში აღწერილია კვლევის მეთოდოლოგია. მიგნებების თავში წარმოდგენილია: (ა) საქართველოს მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების ძირითადი მახასიათებლები, (ბ) როგორ აფასებენ ისინი საბუღალტრო /აუდიტორული ფირმებისგან მიღებულ სერვისებს და (გ) როგორ აღიქვამენ ისინი ასეთ მომსახურებას. ამ ანგარიშს თან ერთვის კვლევის მონაცემთა სიხშირის ცხრილები (დანართი 1).

მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებული იყო რაოდენობრივი მონაცემების შეგროვება და ანალიზი. კვლევა ჩატარდა **2022 წლის 25 მარტიდან 2022 წლის 21 აპრილამდე პერიოდში.** CRRC -მა შერჩევის ჩარჩოდ გამოიყენა reportal.ge- ს მიერ მოწოდებული საწარმოების ჩამონათვალი. შერჩევის ჩარჩო მოიცავდა 53,991 ფირმას, კერძოდ, 592 საშუალო, 4,182 მცირე და 49,217 მიკრო ბიზნესს. ნიმუში შედგებოდა სამი კატეგორიისაგან, რომლებიც განსაზღვრული იყო სამსახურის (SARAS) სტანდარტების შესაბამისად:

- საშუალო ბიზნესი (II კატეგორია SARAS-ის მიხედვით) – 187 ინტერვიუ[1]
- მცირე ბიზნესი (III კატეგორია SARAS-ის მიხედვით) – 437 ინტერვიუ[2]
- მიკრო ბიზნესი (IV კატეგორია SARAS-ის მიხედვით) – 432 ინტერვიუ[3]

საწარმოები შემთხვევითად იქნა შერჩეული თითოეულ კატეგორიაში. ნიმუშები წარმომადგენლობითია აღნიშნული სამი კატეგორიიდან თითოეულისთვის, ისევე როგორც ყველა ამჟამად აქტიური საწარმოსთვის საქართველოში, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოქმედი კომპანიების, მსხვილი ბიზნესისა და ინდივიდუალური მეწარმეების გარდა. თითოეულ საწარმოში გამოიკითხა ბიზნეს - მენეჯერი, ფინანსური მენეჯერი ან მფლობელი. იმ შემთხვევაში, თუ ინტერვიუერები ვერ მოახერხებდნენ საწარმოსთან კონტაქტის დამყარებას, ისინი ბრუნდებოდნენ მეორედ, შემდეგ კი, საჭიროების შემთხვევაში, მესამედაც სანამ ინტერვიუს მცდელობა არ იქნებოდა კლასიფიცირებული როგორც „არგამოპასუხება“.

კვლევის ინსტრუმენტი შემუშავდა მსოფლიო ბანკის მიერ. CRRC- საქართველომ მცირე კორექტივები შეიტანა მასში ქვეყნის სპეციფიკის ასახვის მიზნით. კითხვარის დასკვნითი ვერსია მოიცავს კითხვებს შემდეგ თემებზე:

- საწარმოების მახასიათებლები;
- საბუღალტრო ფირმებისგან მიღებული მომსახურება /რჩევები;
- პერსპექტივები საბუღალტრო ფირმებთან დაკავშირებით.

---

1 საშუალო სიდიდის საწარმო (მეორე კატეგორია SARAS -ის მიხედვით) – სუბიექტი, რომელიც არ არის მესამე ან მეოთხე კატეგორიის საწარმო და რომლის მაჩვენებლები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შემდეგი სამი კრიტერიუმიდან სულ მცირე ორ კრიტერიუმს აკმაყოფილებს: ა) აქტივების ჯამური ღირებულება 50 მილიონ ლარს არ აღემატება; ბ) შემოსავალი 100 მილიონ ლარს არ აღემატება; გ) საანგარიშგებო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 250-ს არ აღემატება

2 მცირე საწარმო (მესამე კატეგორია SARAS -ის მიხედვით) – სუბიექტი, რომელიც არ არის მეოთხე კატეგორიის საწარმო და რომლის მაჩვენებლები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შემდეგი სამი კრიტერიუმიდან სულ მცირე ორ კრიტერიუმს აკმაყოფილებს: ა) აქტივების ჯამური ღირებულება 10 მილიონ ლარს არ აღემატება; ბ) შემოსავალი 20 მილიონ ლარს არ აღემატება; გ) საანგარიშგებო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 50-ს არ აღემატება;

3 მიკრო საწარმო (მეოთხე კატეგორია SARAS -ის მიხედვით) – სუბიექტი, რომლის მაჩვენებლები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შემდეგი სამი კრიტერიუმიდან სულ მცირე ორ კრიტერიუმს აკმაყოფილებს: ა) აქტივების ჯამური ღირებულება 1 მილიონ ლარს არ აღემატება; ბ) შემოსავალი 2 მილიონ ლარს არ აღემატება; გ) საანგარიშგებო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 10-ს არ აღემატება;

კვლევა ძირითადად იყენებს აღწერით სტატისტიკას, მათ შორის სიხშირეებსა და ჯვარედინ ჩანართებს. სიხშირეები აღწერს საერთო მდგომარეობას ეროვნულ დონეზე, ხოლო ჯვარედინი ჩანართები გვიჩვენებს სხვადასხვა ჯგუფის (ან დემოგრაფიის) მონაცემებს. ქვევით ანგარიშში წარმოდგენილია ჯვარედინი ჩანართები ბიზნესის სიდიდისთვის. აღნიშნული ცვლადები გამოიყენება როგორც დამოუკიდებელი ცვლადები რეგრესიის ანალიზისთვის ჯგუფებს (ან დემოგრაფიულ მონაცემებს) შორის მნიშვნელოვანი განსხვავებების ტესტირებისთვის. როდესაც ჯგუფებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები შეინიშნება, მათ შესახებ წარმოებს ანგარიშგება.

მიგნებები

ანგარიშის ეს თავი პასუხობს კვლევის ორ ძირითად კითხვას: რა სჭირდებათ საქართველოს მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს ბუღალტრული აღრიცხვის მომსახურებისგან, ასევე როგორია მათი პერსპექტივები საბუღალტრო /აუდიტორულ ფირმებთან დაკავშირებით. მთავარ კითხვებზე პასუხის გაცემამდე, ანგარიში წარმოგვიდგენს ინფორმაციას საქართველოში მოქმედი საწარმოების საქმიანობის ხანგრძლივობის და სექტორების, საბუღალტრო /აუდიტორული ფირმებისგან მიღებული სერვისების, ასეთი მომსახურებისთვის გადახდილი საფასურის, საბუღალტრო /აუდიტორული ფირმების ხარისხის და აღნიშნული საბუღალტრო/ აუდიტორული ფირმების მიერ გამოყენებული კომუნიკაციის მეთოდების შესახებ.

საწარმოთა მახასიათებლები

მთლიანობაში კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა 1,056 ფირმა. მათი უმრავლესობა საქართველოში დაახლოებით 10 წელია (67%) რაც ფუნქციონირებს, მეხუთედზე ოდნავ მეტი (26%) 10 -20 წელია და მხოლოდ 7% საქმიანობს 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში.

ფირმების უმრავლესობა (59%) დედაქალაქში ოპერირებს, კერძოდ ისეთ სფეროებში როგორებიცაა: ვაჭრობა (32%), მომსახურება (27%), წარმოება (10%), მშენებლობა (10%), ტრანსპორტი (4%) და ტურიზმი (2%). მცირე სეგმენტი ჩართულია ფინანსურ მომსახურებაში, სოფლის მეურნეობაში, ტელეკომუნიკაციებსა და საინფორმაციო ტექნოლოგიებში.

საწარმოების მცირე რაოდენობამ საქართველოში ხელმისაწვდომი მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამაში მონაწილეობისთვის შეიტანა განაცხადი (დიაგრამა 1). საშუალო ბიზნესის დაახლოებით მეხუთედმა (21%), მცირე ბიზნესის მხოლოდ 14% -მა და მიკრო ბიზნესის 7%-მა გამოხატა პროგრამაში მონაწილეობის სურვილი.

დიაგრამა 1. მიუმართავს თუ არა საწარმოს საქართველოში ხელმისაწვდომი მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის რაიმე პროგრამისთვის?



კითხვის საპასუხოდ, თუ მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის რომელ პროგრამაზე ჰქონდათ შეტანილი განაცხადი, უმრავლესობამ დაასახელა „აწარმოე საქართველოში“ (60%, დიაგრამა 2), მესამე შეღავათიანი აგროკრედიტი (34%), რომელსაც მოსდევდა GITA -ს ინოვაციის ხელშეწყობა (12%) და ბიზნესის საკონსულტაციო მომსახურების პროგრამა (BAS – EBRD) (9%).

დიაგრამა 2. მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა, რომელსაც მიმართა საწარმომ



მთავარი მიზეზი, რის გამოც საწარმოებს არასოდეს მიუმართავთ მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის არცერთი პროგრამისთვის, არის ინტერესის არქონა შესაძლებლობის მიმართ (48%). რესპონდენტებმა ასევე დაასახელეს შემდეგი მიზეზები, რის გამოც არ მიუმართავთ პროგრამისთვის: ისინი არ აკმაყოფილებდნენ მონაწილეობის კრიტერიუმებს (8%), მათ არ იცოდნენ პროგრამების არსებობის შესახებ (5%), არ სჯეროდათ, რომ მიიღებდნენ მხარდაჭერას (2%) და ისინი ვერ ხედავდნენ პროგრამების სარგებელს (2%). მეხუთედზე მეტმა (23%) განაცხადა, რომ მისი ბიზნესი არ შეესაბამებოდა პროგრამების მიზანს.

დიაგრამა 3. მიზეზი, თუ რატომ არ მიგიმართავთ მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამისთვის?



საწარმოების უმრავლესობას (87%) თავის კომპანიაში დასაქმებული ჰყავს ბუღალტერი. ამ ფირმების მეოთხედზე მეტმა (28%) არ იცის არის თუ არა მისი ბუღალტერი რომელიმე პროფესიული ბუღალტრული ორგანიზაციის (PAO) წევრი, ან უარს ამბობს აღნიშნულთან დაკავშირებულ კითხვაზე გასცეს პასუხი. ამ საწარმოების დაახლოებით ნახევარის (49%) ბუღალტრები არ არიან პროფესიული ორგანიზაციის (PAO) წევრები. საწარმოთა ბუღალტრებს შორის, რომლებიც პროფესიული ორგანიზაციის წევრები არიან, 19% არის საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის (GFPAA/ ბაფ), 2% საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის (GFAAFM), 2% სერთიფიცირებულ ნაფიც ბუღალტერთა ასოციაციის (UK ACCA), ხოლო მეხუთედი (20%) სხვა პროფესიული ორგანიზაციის წევრი. ფირმების ხელმძღვანელების უმრავლესობას (78%) სმენია ბაფ -ის, ნახევარზე მეტს (58%) საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის და თითქმის ნახევარს (44%) გაერთიანებული სამეფოს სერთიფიცირებულ ნაფიც ბუღალტერთა ასოციაციის შესახებ.

დიაგრამა 4. პროფესიული ორგანიზაცია, რომლის წევრიცაა ბუღალტერი



საბუღალტრო/ აუდიტორული ფირმებისგან მიღებული მომსახურება და რჩევები და საბუღალტრო/ აუდიტორული სერვისების საჭიროება მომავალში:

საწარმოების მხოლოდ მეხუთედი (21%) იღებს ბუღალტრული ფირმის მომსახურებას (დიაგრამა 6). კერძოდ, ერთი მესამედი (33%) მომსახურებას იღებს მხოლოდ აუდიტორული ფირმისგან, ხოლო ერთი მეხუთედი (19%) მომსახურებას იღებს მხოლოდ საბუღალტრო ფირმისგან. იგივე წილი (19%) მომსახურებას იღებს როგორც საბუღალტრო, ისე აუდიტორული ფირმებისგან, ხოლო 16% მომსახურებას იღებს ფირმებისგან რომლებიც ორივე სახის მომსახურებას სთავაზობენ მომხმარებელს. ცამეტი პროცენტი აცხადებს, რომ მომსახურებას საბუღალტრო/ აუდიტორული ფირმისგან იღებს.

საწარმოთა მესამედზე ნაკლებმა (27%) უარი თქვა სააღრიცხვო/ აუდიტორული მომსახურებისთვის გადახდილი თანხის შესახებ ინფორმაციის მოწოდებაზე. თითქმის მესამედზე ოდნავ მეტმა (32%) აღნიშნა, რომ წელიწადში დაახლოებით 5,000 ლარზე ნაკლებს იხდის, მეხუთედზე ნაკლები (18%) 5,000- დან 10,000 ლარამდე და მეხუთედი (23%) 10,000 -დან 50,000 ლარამდე იხდის ყოველწლიურად.

დიაგრამა 5. იღებთ თუ არა ამჟამად მომსახურებას საბუღალტრო /აუდიტორული ფირმისგან?



საწარმოების ორმა მესამედმა (66%), რომლებიც იყენებდნენ საბუღალტრო /აუდიტორულ მომსახურებას, შესაბამისი ფირმები რეკომენდაციების მეშვეობით გამონახეს. საწარმოებს ძირითადად ურთიერთობა აქვთ საბუღალტრო/ აუდიტორული ფირმის დირექტორთან (41%), მენეჯერთან (40%), პარტნიორთან/ მფლობელთან (32%), ან ბუღალტერთან (13%) და აუდიტორებთან (6%).

დიაგრამა 6. როგორ გამონახა საწარმომ მომსახურე საბუღალტრო /აუდიტორული ფირმა?



ბიზნესის უმრავლესობა იღებს საბუღალტრო (68%) და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის (63%) მომსახურებას. გარდა ამისა, მესამედზე მეტი (35%) იღებს საგადასახადო მომსახურებას.

დიაგრამა 7. როგორია საბუღალტრო/ აუდიტორული ფირმისგან მიღებული მომსახურება ?



შენიშვნა: „არ ვიცი“ და „უარი პასუხზე“ გამოტოვებულია (ამოღებულია) ანალიზიდან, რადგან მათი წილი 3% -ზე ნაკლები იყო.

მცირე და საშუალო სიდიდის ფირმებისთვის ყველაზე გავრცელებული მომსახურებაა ფინანსური ანგარიშების აუდიტი, რომლისთვისაც შესაბამისი მაჩვენებლები 92% -ს და 70% - ს შეადგენდა. მცირე ბიზნესი უფრო მეტად იღებს საბუღალტრო მომსახურებას (53%), ვიდრე საგადასახადო სერვისებს. მცირე ბიზნესი ასევე უფრო ხშირად იღებს საბუღალტრო (73%) და ფინანსური ანგარიშების აუდიტის მომსახურებას (60%), ვიდრე საგადასახადო სერვისებს.

დიაგრამა 8. საბუღალტრო/ აუდიტორული ფირმისგან მიღებული მომსახურება SARAS -ის კატეგორიების მიხედვით



საწარმოების უმეტესობა, რომელიც არ იღებს საბუღალტრო/ აუდიტორულ მომსახურებას, არ გეგმავს სამომავლოდ ამის გაკეთებას, მხოლოდ 10% აცხადებს, რომ მას სურს მომავალში აღნიშნული მომსახურების მიღება. ანალოგიურად, ბიზნესის უმეტესობა, რომელიც ამჟამად იღებს საბუღალტრო/ აუდიტორულ მომსახურებას (58%) არ აპირებს რაიმე დამატებითი სერვისის მიღებას მომავალში. მესამედზე მეტი (38%) გეგმავს გააგრძელოს თანამშრომლობა ბუღალტრულ/ აუდიტორულ ფირმებთან.

დიაგრამა 9. ბიზნესი მომავალში აპირებს მიიღოს (დამატებითი) მომსახურება საბუღალტრო /აუდიტორული ფირმისგან: დიახ/არა?



ძირითადი მიზეზები, რის გამოც გამოიყენება საბუღალტრო /აუდიტორული ფირმების სერვისები შემდეგია: საგადასახადო რისკების შემცირება (59%), დახმარება კანონებისა და რეგულაციების დაცვაში (56%) და დახმარება ბიზნესის გაუმჯობესებაში (49%) .

დიაგრამა 10. ძირითადი მიზეზები, რის გამოც შეიძლება საჭირო გახდეს მომსახურება



საწარმოების თითქმის სამ მეოთხედს შესაძლოა დასჭირდეს ფინანსური ანგარიშების (73%) აუდიტის, საბუღალტრო (70%), შიდა აუდიტის (68%) და საგადასახადო (63%) მომსახურება. დაახლოებით ნახევარმა დაასახელა ISO სტანდარტებთან შესაბამისობა (53%) და თავისი ბიზნესის შეფასება (50%), ხოლო ნახევარმა აღნიშნა ბიზნეს გეგმების შედგენა (48%) და ახალი ბიზნესის დაწყება (45%). ყველაზე ნაკლებად ნახსენები მომსახურებაა ლიკვიდაცია და /ან კორპორაციული რესტრუქტურიზაცია (18%) და სესხის განაცხადის მომზადება (28%).

დიაგრამა 11. სერვისები, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს მომავალში



საშუალო ბიზნესის უმრავლესობას უფრო მეტად სჭირდება ფინანსური ანგარიშების აუდიტი, ვიდრე ნებისმიერი სხვა სერვისი. რაც შეეხება მცირე და მიკრო ბიზნესს, მათ საჭიროებებს შორის მხოლოდ მცირე განსხვავებაა. მცირე ბიზნესს უფრო მეტად სჭირდება ფინანსური ანგარიშების აუდიტი და შიდა აუდიტი. მიკრობიზნესს შეიძლება ნაკლებად დასჭირდეს საგადასახადო მომსახურება.

დიაგრამა 12. სერვისები, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს მომავალში (SARAS -ის კატეგორიების მიხედვით)



შენიშვნა: სხვა სერვისები აკლია ანალიზს, რადგან ისინი მიეკუთვნებოდა რამდენიმე ფირმას ქვეჯგუფებში (საშუალო, მცირე და მიკრო)

პერსპექტივები საბუღალტრო ფირმებთან დაკავშირებით

კვლევაში მონაწილე საწარმოებს ეთხოვათ საბუღალტრო /აუდიტორული ფირმის შეფასება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: გამოცდილი პერსონალი, მუდმივი კომუნიკაცია, კარგი რეკომენდაციები, ურთიერთობის დამყარების უნარები, საიმედო ლიდერობა, ფასი, კომპეტენტური ბიზნესმრჩეველი და ძირითადი პიროვნული თვისებები. უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ყველა მახასიათებელი მნიშვნელოვანი ან ძალიან მნიშვნელოვანი იყო საბუღალტრო /აუდიტორული ფირმების ხარისხის შესაფასებლად, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვნად საბუღალტრო /აუდიტორული ფირმის არჩევისას დასახელდა სანდო წყაროს რეკომენდაცია (94%), ფირმის რეპუტაცია ეროვნულ/ საერთაშორისო დონეზე (78%) და მათი პირადი გამოცდილება (74%). . რესპონდენტთა ნახევარზე მეტმა ფირმის წევრობა ადგილობრივ ასოციაციაში მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნია საბუღალტრო/ აუდიტორული მომსახურებისთვის კომპანიის არჩევისას.

დიაგრამა 13. შეაფასეთ საბუღალტრო/ აუდიტორული ფირმა შემდეგი კრიტერიუმებით...



საწარმოები სრულად ან უმეტესად თანხმდებიან, რომ საბუღალტრო /აუდიტორული ფირმები, რომლებთანაც თანამშრომლობენ ან ითანამშრომლებენ, უნდა აკმაყოფილებდნენ მათ ბიზნესმოთხოვნებს (78%). ნახევარზე მეტი (52%) სრულად ეთანხმება/ დაეთანხმა მოსაზრებას, რომ პირველ რიგში საბუღალტრო /აუდიტორულ ფირმას მიმართავს ბიზნესთან დაკავშირებული რჩევისთვის.

დიაგრამა 14. ვეთანხმები /არ ვეთანხმები შემდეგ განცხადებებს საბუღალტრო /აუდიტორულ ფირმებთან დაკავშირებით...



ზოგადად, მცირე და საშუალო ბიზნესის უმეტესობა ამჟამად მუშაობს ან იმუშავებს საბუღალტრო /აუდიტორულ ფირმებთან, რომლებიც საქართველოში ფუნქციონირებენ. უმრავლესობა ასევე აღნიშნავს, რომ არ აქვს მნიშვნელობა სად *ოპერირებს საბუღალტრო* /აუდიტორული ფირმა, მაგრამ ის უნდა აკმაყოფილებდეს მათ საჭიროებებს. იმ საწარმოებს შორის, რომლებიც გეგმავენ სამომავლოდ საბუღალტრო/ აუდიტორულ ფირმასთან თანამშრომლობას, ნახევარზე მეტი (59%) ამჯობინებს თანამშრომლობას საერთაშორისო ქსელის წარმომადგენელ ფირმასთან, ან ფირმასთან რომელიც სხვადასხვა რეგიონში (61%) საქმიანობს. შესაბამისი პროცენტული მაჩვენებლები ნაკლებია იმ საწარმოებისთვის, რომლებიც უკვე თანამშრომლობენ საბუღალტრო /აუდიტორულ ფირმებთან.

დიაგრამა 15. ბიზნესი ითანამშრომლებს ფირმასთან, რომელიც საქმიანობს ...



გარდა ამისა, ზოგიერთმა რესპონდენტმა გააკეთა დამატებითი მინაწერი კითხვარის ბოლოს. ყველაზე საინტერესო შენიშვნები მოცემულია ქვემოთ:

- „საბუღალტრო/ აუდიტორული მომსახურება ძვირია“
- „ბიუროკრატია ართულებს ყველაფერს“
- „მნიშვნელოვანია ცნობიერების ამაღლება საბუღალტრო /აუდიტორული სერვისების შესახებ“
- „ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება უნდა გაადვილდეს“
- „კარგი იქნება, თუ პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაციები ბუღალტერს შესთავაზებენ წევრობას“
- „კომპიუტერულ პროგრამაში მუშაობა რთულია, ზოგიერთ რეგიონში დაბალი ხარისხის ინტერნეტის გამო“
- „არ არის ხელმისაწვდომი საბუღალტრო/ აუდიტორული მომსახურება (ზოგიერთ ან ამ) რეგიონებში“
- „ახალ კანონთან დაკავშირებით შეზღუდულია საქმიანობის სფეროები. ეს არ არის კარგი"
- „ბუღალტრები არ არიან საკმარისად გამოცდილი მიკრობიზნესის საკითხებში”

დასკვნები

ზოგადად კვლევამ აჩვენა, რომ საწარმოების უმეტესობას ბუღალტერი ჰყავს. ფირმების დაახლოებით მეხუთედს ჰყავს ბუღალტერი, რომელიც არის საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის (GFPAA/ ბაფ), საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის (GFAAFM), სერთიფიცირებულ ნაფიც ბუღალტერთა ასოციაციის (UK ACCA) და სხვა პროფესიული ორგანიზაციის წევრი. გარდა ამისა, საწარმოების ხელმძღვანელების უმრავლესობას სმენია ბაფ -ის, ნახევარზე მეტს საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის და თითქმის ნახევარს სერთიფიცირებულ ნაფიც ბუღალტერთა ასოციაციის შესახებ.

შედეგების მიხედვით, საქართველოში არსებულ მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამას მხოლოდ რამდენიმე საწარმომ მიმართა. უმეტესობამ მიმართა ისეთ პროგრამებს, როგორებიცაა „აწარმოე საქართველოში“ და/ან შეღავათიანი აგროკრედიტი. რესპონდენტების მიერ აღნიშნული მთავარი დაბრკოლება, რაც განაპირობებს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამებში დაბალ მონაწილეობას არის ინტერესის არქონა ან ვარაუდი, რომ ბიზნესი არ აკმაყოფილებს პროგრამის მოთხოვნებს. უფრო აქტიური ხელშეწყობა და უკეთესი კომუნიკაცია მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესთან შეიძლება იყოს ეფექტური გზა ბიზნესის ცნობიერების ამაღლებისთვის მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამებთან დაკავშირებით.

მონაცემების შემდგომი ანალიზი აჩვენებს, რომ მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის მხოლოდ მეხუთედი იღებს მომსახურებას საბუღალტრო /აუდიტორული ფირმებისგან. ძირითადად, საწარმოებმა საბუღალტრო/ აუდიტორული ფირმები რეკომენდაციების საფუძველზე გამონახეს. მათი დიდი ნაწილი საბუღალტრო და ფინანსური ანგარიშების აუდიტის მომსახურებას იღებს. მესამედზე მეტი სარგებლობს საგადასახადო სერვისებით. საწარმოების უმეტესობა, რომელიც არ იღებს საბუღალტრო /აუდიტორულ მომსახურებას, არ გეგმავს მათ მომავალში გამოყენებას. ანალოგიურად, ფირმების უმეტესობა, რომელიც იღებს საბუღალტრო/ აუდიტორულ მომსახურებას, არ აპირებს რაიმე დამატებითი სერვისის მიღებას მომავალში. მესამედზე მეტმა არ იცის, გაგრძელდება თუ არა მათი თანამშრომლობა საბუღალტრო /აუდიტორულ ფირმებთან. საბუღალტრო /აუდიტორული ფირმების მომსახურებით სარგებლობის ძირითადი მიზეზებია: საგადასახადო რისკების შემცირება, კანონებისა და რეგულაციების დაცვაში დახმარება და ბიზნესის წარმოების სრულყოფა. იმის გამო, რომ საწარმოების მხოლოდ მეხუთედი იღებს საბუღალტრო /აუდიტორულ მომსახურებას, სექტორმა უნდა გააუმჯობესოს თანამშრომლობა მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესთან, მათი სერვისების უპირატესობების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით.

საწარმოთა ხელმძღვანელების უმრავლესობას მსგავსი კრიტერიუმები აქვს საბუღალტრო /აუდიტორულ ფირმებთან დაკავშირებით. ისინი ძირითადად თანხმდებიან, რომ საბუღალტრო /აუდიტორული ფირმები, რომლებთანაც თანამშრომლობენ ან ითანამშრომლებენ, უნდა აკმაყოფილებდნენ მათ ბიზნესმოთხოვნებს. ნახევარზე მეტი თანახმაა, რომ ბიზნესთან დაკავშირებული რჩევისთვის პირველ რიგში საბუღალტრო/ აუდიტორულ ფირმას მიმართოს. უფრო მეტიც, საწარმოების უმრავლესობა ამჟამად თანამშრომლობს ან ითანამშრომლებს საქართველოში მოქმედ საბუღალტრო /აუდიტორულ ფირმებთან. უმრავლესობა ასევე

აღნიშნავს, რომ ადგილმდებარეობა, საიდანაც მათი სააღრიცხვო /აუდიტორული ფირმები ფუნქციონირებენ, უმნიშვნელოა, თუკი მათი საჭიროებები დაკმაყოფილებული იქნება. იმ ბიზნესებს შორის, რომლებიც გეგმავენ სამომავლოდ ბუღალტრულ /აუდიტორულ ფირმებთან თანამშრომლობას, ნახევარზე მეტი იმუშავებს საერთაშორისო ქსელის წარმომადგენელ კომპანიებთან ან ფირმებთან რომლებიც სხვადასხვა რეგიონში საქმიანობენ. ეს მაჩვენებლები უფრო მცირეა იმ ბიზნესებისთვის, რომლებიც უკვე მუშაობენ საბუღალტრო /აუდიტორულ ფირმებთან.

დანართი 1: სიხშირის ცხრილები

1.1 იღებთ თუ არა ამჟამად მომსახურებას საბუღალტრო/ აუდიტორული ფირმისგან? (%)	
დიახ, მხოლოდ საბუღალტრო ფირმისგან	4
დიახ, მხოლოდ აუდიტორული ფირმისგან	7
როგორც საბუღალტრო, ისე აუდიტორული ფირმისგან	4
დიახ, ფირმისგან, რომელიც ორივე მომსახურების გაწევას ახორციელებს	3
დიახ (საპილოტო ვარიანტი)	3
არა	79
სულ	100

1.2.1 რომელ მომსახურებას იღებთ თქვენ ან თქვენი კომპანია ამჟამად თქვენი საბუღალტრო/ აუდიტორული ფირმისგან? (საბუღალტრო მომსახურება ფინანსური ანგარიშგების მომზადების ჩათვლით) (%) *საწარმოების 21% -მა უპასუხა ამ შეკითხვას*	
ახსენა	66
არ დაუსახელებია	31
არ ვიცი	2
უარი პასუხზე	1
სულ	100

1.2.2 რომელ მომსახურებას იღებთ თქვენ ან თქვენი კომპანია ამჟამად თქვენი საბუღალტრო/ აუდიტორული ფირმისგან? ფინანსური ანგარიშგების აუდიტი (%) *საწარმოების 21% % -მა უპასუხა ამ შეკითხვას*	
დაასახელა	62
არ დაუსახელებია	36
არ ვიცი	2
უარი პასუხზე	1
სულ	100

1.2.3 რომელ მომსახურებას იღებთ თქვენ ან თქვენი კომპანია ამჟამად თქვენი საბუღალტრო/ აუდიტორული ფირმისგან? ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული მომსახურება (%) *საწარმოების 21% % -მა უპასუხა ამ შეკითხვას*	
დაასახელა	5
არ დაუსახელებია	92
არ ვიცი	2
უარი პასუხზე	1
სულ	100

1.2.4 **რომელ მომსახურებას იღებთ თქვენ ან თქვენი კომპანია ამჟამად თქვენი საბუღალტრო/ აუდიტორული ფირმისგან? საგადასახადო მომსახურება: საგადასახადო დეკლარაციების მომზადება/ წარდგენა/კონსულტაციები (%)** *საწარმოების 21% % -მა უპასუხა ამ შეკითხვას*	
დაასახელა	34
არ დაუსახელებია	64
არ ვიცი	2
უარი პასუხზე	1
სულ	100

